



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევერნია

ევერნია (Evernia), ლიქენების გვარი უსნეასებრთა ოჯახისა. აქვს ბრტყელ-ფირფიტისებრ ნაკვეთებიანი ბუჩქის ფორმის რბილი, მომრგვალებული ან დიქტომიურად დატოტვილი თალუსი, რ-იც სუბსტრატს ემაგრება სქელი, მოკლე ფეხით – გომფით. მრავლდება სორალებით ან აპოთეციუმებში მოთავსებული სპორებით. იზრდება მერქნიან მცენარეებზე, იშვიათად – ხავსიან ნიადაგზე. საქართველოში ცნობილია 3 სახეობა. იყენებენ პარფიუმერიაში.

ც. ინაშვილი
